## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030152099423815

**№ 01-250/ო** **10 / აგვისტო / 2015 წ.**

### საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და კომპანია EMC-ს შორის 2015 წლის 28 ივლისს გაფორმებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და დანერგვის მომსახურების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (N3/3504/54) შესრულების კონტროლის მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

"საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ნ" ქვეპუნქტებისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და კომპანია EMC-ს შორის 2015 წლის 28 ივლისს გაფორმებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და დანერგვის მომსახურების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (N3/3504/54) შესრულების კონტროლის მიზნით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და კომპანია EMC-ს შორის 2015 წლის 28 ივლისს გაფორმებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და დანერგვის მომსახურების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით (N 3/3504/54) (შემდგომში - ხელშეკრულება) გათვალისწინებული პირობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით შეიქმნას პირველი ეტაპის (ინიცირების, ანალიზის და არქიტექტურის ნაწილის ანალიზი) სამუშაოების ინსპექტირების ჯგუფი (შემდგომში - ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **მიხეილ ჯანიაშვილი** - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) **დიმიტრი ალხაზოვი** - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ჯგუფის წევრი;

გ) **გიორგი ჯღარკავა** - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

დ) **ლაშა ენდელაძე** - სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ე) **გიორგი გვალია** - სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ვ) **ირაკლი ტაბატაძე** - სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი;

ზ) **გიორგი რომელაშვილი** - სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის საარსებო (ფულადი) შემწეობის დანიშვნა–ცვლილებების კანონიერების კონტროლის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი.

2. ჯგუფის მიზნები, ამოცანები და უფლებამოსილებები განისაზღვრება სამინისტროსა და კომპანია EMC-ს შორის 2015 წლის 28 ივლისს გაფორმებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისა და დანერგვის მომსახურების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებითა (N პ/3504/54) და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგეენკო